

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა ჟურნალი

მარტი №6

- * რეგიონალური ფორუმები
- * დაბავჯის თეორია და
ვათაფორმირება
- * დაბავჯის პრაქტიკა
- * ფინანსები, ადრინსვა და
აუდიტი
- * მკვლევარები საბადასახადო და
საბადაო კანონმდებლობაში
კონვენტარებით
- * კითხვა-პასუხები



2018

**უინანსური და
საპარამეტრიზო
კონსულტაციის ცენტრი**



გთავაზობთ:

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშების სქემების დამუშავებას
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის
დამუშავებას





გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი -
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ელ. ჟურნალი
 „გადასახადები -
 რეგისტრირებულია #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009

Referred and reviewed scientific & practical e.magazine 'Gadasakhadebi-

მთავარი რედაქტორი:
 დავით ჯალაღონია,
 სრული პროფესორი
Chief Editor:
David Jalaghonia, Full Professor
 პასუხისმგებელი მდივანი
 მარინე ხუბუა, ასოცირებული პროფესორი
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor
 რედაქტორი: მადონა გელაშვილი
 ასოცირებული პროფესორი
Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor
 ტექნიკური რედაქტორი:
 ნაზიკო გომელაური
Technical Editor: Naziko Gomelaury
 კორექტორი: რუსიკო პაპასკირი
 ასოცირებული პროფესორი
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

მარკეტოლოგ-კონსულტანტი:
 დევი შონია, ასოცირებული პროფესორი
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor
 იურისტ-კონსულტანტი:
 ელგუჯა კავთარაძე, ასოცირებული პროფესორი
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

ელ. ჟურნალი „გადასახადები -
 რეგისტრირებულია
 ს.კ. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
 (Taxes) is registered
 ID code: 404941300

სარედაქციო კოლეგია
EDITORIAL BOARD
 ტავმდომარე: პროფესორი დავით ჯალაღონია
Chairman: professor David Jalaghonia
 ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები,
 პროფესორები:
Doctors of Economics, Professors:

ზაურ ამილახვარი	Zaur Amilakhvari
რეზო გვესიანი	Rezo Gvelesiani
სიმონ გელაშვილი	Simon Gelashvili
ირმა დიხამინჯია	Irma Dikhaminjia
კახაბერ ერაძე	Kakhaber Eradze
შოთა ვეშაპიძე	Shota Veshapidze
ლარისა ტაკალანძე	Larisa Takalandze
ზურაბ ლიპარტია	Zurab Lipartia
იაკობ მესხია	Iakob Meskhia
ვლადიმერ რიონტი	Vladimer Ghlonti
ზაირა რუდუსაური	Zaira Gudushauri
თემურ სენგელია	Temur Shengelia
მიხეილ ციკვილაძე	Mikheil Chikviladze
ნოდარ ხადური	Nodar Khaduri
ელენე ხარაბაძე	Elene Kharabadze
რეზო ხარებავა	Rezo Kharebava
ნანული ჯიმციშვილი	Nanuli Dzimceishvili

ანჯელიკა კრუტოვა - ხარკოვი, უკრაინა
 Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
 კერიმოვი ელ სევერ ნარიმან ორღი -
 ბაყო, აზერბაიჯანი
 Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

მომხმარებელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი -
 მიმხმარებლის IBAN ანგარიში # GE67TB332136020100005
 მიმხმარებლის ბანკი: სს 'ტიბისი - ბანკი
 ბანკის კოდი: TBCBGE22
 Beneficiary's name: **Business Intellect Ltd**
 BEN'S ACCOUNT - GE67TB332136020100005
 Beneficiary Bank: TBC BANK, GEORGIA
 BANK KODE - TBCBGE22
 T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

რედაქციის ავტორის მხრივ სწავლითა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელი ავტორია.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

გამომცემელი: Sps 'ბიზნეს ინტელექტი - / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 4

ISSN 1987-9156



sarCevi / **Table of contents**

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi ----- 5-23

Semosavl ebis samsaxuris brZaneba / **Revenue Service command** ----
----- 24-41

saqarTvel os erovnul i banki / **National Bank of Georgia** -----42-44

auqci oni / **Auction** ----- 45

si tuaci uri saxel mZRvanel oebi / **Situational manuals** -----46-56



gadasaxadebi #6, 2018

GADASAKHADEBI #6, 2018



საქართველოს კანონი

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), **25.05.2012**, სარეგისტრაციო კოდი: **240110000.05.001.016708**) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 24-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ ნაწილი:

„1¹. თუ ობიექტი იმავდროულად მიეკუთვნება „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს, ობიექტზე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნორმები განისაზღვრება აგრეთვე „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

2. 25-ე მუხლის:

ა) მე-7 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ მითითება დროულად არ შესრულდა, მაგრამ სამართალდარღვევა გამოსწორდა დადგენილების მიღებამდე, დამრღვევი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, ხოლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება წყდება, გარდა ამ კოდექსის **49-ე მუხლის** „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისა.“;

ბ) მე-13 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„13. შემოწმების აქტის შედგენიდან 2 თვის ვადაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე მიიღოს დადგენილება. საქმის განმხილველი თანამდებობის პირი უფლებამოსილია მოტივირებული საფუძვლით გააგრძელოს მისი განხილვის ვადა. საქმის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 2 თვით. დამრღვევს უწყებით უნდა ეცნობოს საქმის განხილვის ადგილი, თარიღი, დრო და საქმის განმხილველი თანამდებობის პირის ვინაობა, გარდა ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისა. ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია შემოწმების აქტის შედგენისთანავე, დაუყოვნებლივ მიიღოს დადგენილება დაჯარიმების შესახებ.“;

გ) 23-ე ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) ამ კოდექსის 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევის არსებობისას.“.

3. 44-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაზარტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას:

ა) სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 25 000 ლარით;

ბ) კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, გარდა ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობისა, – 8 000 ლარით;

გ) კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – მესამე ან მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობაზე – 20 000 ლარით.“.

4. 45-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ბ“-„ა.დ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) მესამე კლასის შენობა-ნაგებობისათვის – 10 000 ლარით;

ა.გ) მეოთხე კლასის შენობა-ნაგებობისათვის – 15 000 ლარით;

ა.დ) მეხუთე კლასის შენობა-ნაგებობისათვის – 20 000 ლარით;“.



5. 49-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – გამოიწვევს დაჯარიმებას **30 000** ლარით;“.

6. 51-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – გამოიწვევს დაჯარიმებას **50 000** ლარით;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

7 მარტი 2018 წ.

N2051-III

წარმატება ხანგრძლივია, თუ იცით, რატომ ხართ წარმატებული.

რუპერტ ლეი



საქართველოს კანონი

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 28.06.2001, მუხ. 58) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმების განმახორციელებელი სამსახურის მიერ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმებაზე, თუ შემოწმება ხორციელდება:

ო.ა) შერჩევითი კონტროლით კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ;

ო.ბ) განმეორებითი შემოწმების მიზნით გონივრული ვადის ფარგლებში;

ო.გ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1 აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

7 მარტი 2018 წ.

N2052-III





საქართველოს მთავრობის

დადგენილება №120

2018 წლის 7 მარტი, ქ. თბილისი

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/02/2013, 470230000.10.003.017200) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის (საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის) :

1. მე-19 მუხლის 11¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 11² პუნქტი:

„11². ამ პროგრამის მე-20 მუხლის 5² პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, რომელიც გამოვლინდება რევიზიის დროს, გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას განმახორციელებლის მიერ სარევიზიო პერიოდში პროგრამის/ კომპონენტის ფარგლებში ანაზღაურებული თანხის 1%-ით.“

2. მე-20 მუხლის 5¹ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5² პუნქტი:

„5². სტაციონარული მომსახურების (გარდა დღის სტაციონარისა) მიმწოდებელი ვალდებულია, ჰოსპიტალიზებული ყველა პაციენტისათვის, C ჰეპატიტზე სკრინინგული კვლევით დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში, უზრუნველყოს კონფირმაციული კვლევისათვის საჭირო სისხლის ნიმუშის აღება, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში – ცენტრი) გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ალგორითმის – „სისხლის აღების, ალიქვოტების მომზადებისა და ტრანსპორტირების წესის“ შესაბამისად და განახორციელოს შეტყობინება ცენტრში საკვლევი მასალის ტრანსპორტირების საჭიროების თაობაზე C ჰეპატიტის სკრინინგის აღრიცხვის ფორმის (ელექტრონული მოდულის) მეშვეობით. ცენტრი უზრუნველყოფს დაწესებულებებიდან სისხლის ნიმუშების მოგროვებასა და ტრანსპორტირებას ცენტრის რიზარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევით ცენტრში.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 10 მარტიდან.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის**დადგენილება №125**

2018 წლის 14 მარტი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/05/2012, 040030000.10.003.016848) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1² მუხლი:

„მუხლი 1². დამტკიცდეს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს დაკვეთით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფი, №3 დანართის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

დანართი №3

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს დაკვეთით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებული, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფი

კოდი	ექსპერტიზის დასახელება	ობიექტის რაოდენობა	მომსახურების ტარიფი (დღგ-ის ჩათვლით)
1	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ღირებულება	ერთი ობიექტი	106 ლარი და 50 თეთრი





საქართველოს მთავრობის

დადგენილება №133

2018 წლის 15 მარტი, ქ. თბილისი

„ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/05/2012, 290160000.10.003.016838) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №5 დანართის (სამედიცინო (სადაზღვევო) რაიონი საინვესტიციო ვალდებულებით, ინვესტორები, საინვესტიციო მოცულობები და ინვესტიციის განხორციელების ვადები) შენიშვნის ცხრილის კომპანიის სვეტში შპს „სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფი“ შეიცვალოს სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №94**

2018 წლის 2 მარტი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის:

1. 81-ე მუხლის:**ა) მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. საგადასახადო ორგანოები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 44⁴, 91², 99-ე, 127¹ მუხლის მე-2 ნაწილით, 129¹, 153-ე, 153¹, 153⁷, 154¹, 154², 155¹ – 155⁶, 157-ე, 157¹ – 157³, 158-ე, 158¹, 159⁴, 163-ე, 164-ე, 164⁴, 165-ე – 165³, 165¹⁰, 178-ე, 179³, 191¹, 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.

5. საგადასახადო ორგანო განიხილავს იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127¹ მუხლის მე-2 ნაწილით, 129¹, 153⁷, 157-ე, 165-ე, 165¹⁰, 179³, 191¹, 194-ე და 195-ე მუხლებით.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, თუ სამართალდამრღვევი სადავოდ არ ხდის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, აღნიშნულის დასადასტურებლად ოქმის შესაბამის გრაფაში აკეთებს აღნიშვნას და დამატებით ხელმოწერას, რის საფუძველზეც ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი. ოქმში, ასევე მიეთითება შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმის თანხა). სამართალდამრღვევს ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153⁷ ან 191¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაშიც, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას.“.

2. 82-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას და უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე, ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153⁷ ან 191¹ მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევაში, თუ ეს სამართალდარღვევები არ საჭიროებს ადმინისტრაციულ გამოკვლევას და სამართალდამრღვევი უარს აცხადებს ოქმის ხელმოწერაზე ან/და ჩაბარებაზე და აღნიშნული დაფიქსირებულია ტექნიკური საშუალებით (ფოტო ან/და ვიდეოგადაღების მეშვეობით), ოქმი ჩაბარებულად ითვლება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე



საქართველოს ფინანსთა მინისტრის**ბრძანება №107**

2018 წლის 20 მარტი, ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ:

1. დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:





384	4019	სსიპ – აფხაზეთის მოზარდ – ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი
386	4021	სსიპ – აფხაზეთის კონცერნი „აფხაზეთი“
387	4022	სსიპ – აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი
419	4059	ა(ა)იპ – ქალაქ ახალციხის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი
423	4063	ა(ა)იპ – ქალაქ ახალციხის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება
426	4066	ა(ა)იპ – ქალაქ ახალციხის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება
580	4220	ა(ა)იპ – ქალაქ შჩეხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
615	4255	ა(ა)იპ – რუსთავის ახალგაზრდობის ცენტრი
384	4019	სსიპ – აფხაზეთის მოზარდ – ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი
386	4021	სსიპ – აფხაზეთის კონცერნი „აფხაზეთი“
387	4022	სსიპ – აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი
419	4059	ა (ა) იპ – ქალაქ ახალციხის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი

ბ) ბიუჯეტის განმკარგველი – **619** – ა(ა)იპ – „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო გაერთიანებებისა და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

619	4259	ა(ა)იპ – ქალაქ რუსთავის სახელოვნებო, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი
-----	------	--



გ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

1015	4655	ა(ა)იპ თვითმმართველი თემის – მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანება
1016	4656	ა(ა)იპ თვითმმართველი თემის – მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა

დ) ბიუჯეტის განმკარგველები – **1176** – ა(ა)იპ – „ახალციხის მელიორაცია“, **1177** – ა(ა)იპ – „ახალციხის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ და **1178** – ა(ა)იპ – „ახალციხის თემის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“ – ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1176	4816	ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება და წყალანრიება“
1177	4817	ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“
1178	4818	ა(ა)იპ „ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება“

ე) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

1359	4999	ა(ა)იპ „ქალაქ ახალციხის ტბა“
------	------	------------------------------

ვ) ბიუჯეტის განმკარგველის – **1412** – „ა(ა)იპ „ახალქალაქის სერვისცენტრის“ შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1413	5053	ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“
1414	5054	ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“
1415	5055	ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“
1416	5056	ა(ა)იპ „თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ზაღების მართვის სააგენტო“
1417	5057	სსიპ „აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“
1418	5058	ა(ა)იპ „ბორჯომის სოფლის წყალი“
1419	5059	ა(ა)იპ „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრი“
1420	5060	ა(ა)იპ „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრი“
1421	5061	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“
1422	5062	ა(ა)იპ „მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“



2. დანართ №3-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები – **4400** „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო“, **4600** – „საქართველოს მთავრობის კანცელარია“, **4700** – „საქართველოს კონტროლის პალატა“ და **5400** – „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	4400
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	4600
სახელმწიფო აუდიტის სამსახური	4700
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	5400

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	5500
საქართველოს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახური	5800

გ) ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდი – **6100** „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	6100
---	------

დ) ამოღებულ იქნეს შემდეგი შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები:

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	6400
ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	7900
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	8700

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის****ბრძანება №108**

2018 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №219 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 30 ივნისის №219 ბრძანებაში (ვებგვერდი, 03/07/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010320040.22.033.016991) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ბიზნესსექტორთან ურთიერთობის ან/და მარკეტინგის მიმართულებით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება (მათ შორის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება);

გ) საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2017 წლის 31 მარტის №106 ბრძანების „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების ცოდნა;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft office word, Microsoft office Excel, MS Power Point, Microsoft Office Outlook) ცოდნა;



ე) ინგლისური ენის ცოდნა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №109

2018 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი

**„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის
თანამდებობებისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების
შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 21 აპრილის №324
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანამდებობებისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 21 აპრილის №324 ბრძანებაში (სსმ III, 23.04.2010წ., №46, მუხლი 688) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის თანამდებობებისათვის სპეციალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების“ პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საჯარო სამსახურში, საგამომიებო (მათ შორის, პროკურატურის) ან ოპერატიულ დანაყოფებში, საბაჟო ან საგადასახადო ორგანოებში ან მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება ან სპეციალობით (ხელმძღვანელ პოზიციაზე) მუშაობის 3 წლის გამოცდილება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის****ბრძანება №45/04**

2018 წლის 16 მარტი, ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 23/06/2017, ს.კ: 220020000.18.011.016245) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის:

ა) „დ“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ.გ“ ქვეპუნქტი:

„დ.გ) საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 9.1 ცხრილის შესაბამისად.“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.დ) ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-14 ცხრილის შესაბამისად.“.

2. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ბანკებმა პილარ 3-ის წლიურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნონ შემდეგი ხარისხობრივი ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის შესახებ:

ა) კაპიტალის ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაცია, რომელიც უნდა მოიცავდეს ინსტრუმენტების სახეებს, მათ ვადიანობას და ხარისხს;

ბ) კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, ზოგადი ინფორმაცია იმ სამართლებრივი აქტების შესახებ, რომელთა მიხედვითაც კომერციულ ბანკებს განსაზღვრული აქვთ კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები, ასევე ინფორმაცია კაპიტალის კომბინირებული ბუფერებისა და პილარ 2-ის ჯამური ბუფერის შესახებ.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება, გარდა ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის ან ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 3

ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და მე-2 პუნქტი ამოქმედდეს **2018 წლის 31 დეკემბრიდან**.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის**ბრძანება №47/04**

2018 წლის 16 მარტი, ქ. თბილისი

„საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის **2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 12.04.2011, სარეგისტრაციო კოდი: 220090000.18.011.016025)** დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ინსტრუქციის მე-10 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9-მე-11 პუნქტები:



„9. ბანკის ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობისას, ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ბანკიდან სხვა ბანკში სესხებზე ან სხვა საფინანსო აქტივებზე მოთხოვნის უფლების ან ვალდებულების გადაცემისას, თუ ბანკის ლიკვიდატორის მიერ დადგენილ ვადაში პირი არ განაცხადებს თანხმობას ან უარს აქტივის ან ვალდებულების სხვა ბანკში გადაცემაზე, თანხმობა ავტომატურად გაცემულად ჩაითვლება.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში თანხმობა საჭირო არ არის, თუ აქტივების ან/და ვალდებულებების გადაცემისას არ იცვლება ლიკვიდაციის პროცესში მყოფ კომერციულ ბანკში აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ არსებული პირობები.

11. ამ მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჭირო არაა მიმღებ ბანკში პირის მიერ ანგარიშის გახსნისათვის განაცხადის წარდგენა. ანგარიშების გახსნა ხდება ლიკვიდაციაში მყოფი ბანკის ხელთ არსებულ პირის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციისთვის განკუთვნილ დოკუმენტებზე და ინფორმაციაზე დაყრდნობით. მიმღებმა ბანკმა, ლიკვიდაციაში მყოფი ბანკის მიერ გადაცემული დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე, შესაძლოა განახორციელოს მხოლოდ თანხის ერთი ოპერაციის ფარგლებში სრულად განაღდება, მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ კლიენტი არ არის შეტანილი ტერორისტ ან ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიაში. თუ მიმღებ ბანკში გადატანილ ანგარიშზე გამოყენებული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შეზღუდვები ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებები, მიმღები ბანკი ლიკვიდაციაში მყოფი ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს თანხის ჩარიცხვის ოპერაციას და ყადაღის აღსასრულებლად ყადაღის მოცულობის ფარგლებში არსებული თანხების ჩამოჭრას. ნებისმიერი სხვა ტიპის საბანკო მომსახურების გაწევისას, მიმღები ბანკი ვალდებულია მოახდინოს კლიენტის იდენტიფიკაცია და ვერიფიკაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი

კობა გვენეტაძე





Semosavl ebis samsaxuris brZaneba

შემოსავლების სამსახურის

ბრძანება №5091

2018 წლის 9 მარტი, ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ და „უ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანების პირველ პუნქტს „ს“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ტ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის დებულება“ თანდართული რედაქციით (დანართი №19).“.

2. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებით დამტკიცებული:



ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №1) მე-3 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №2) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“;

გ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის პროფესიული ეთიკის და მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №3) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“;

დ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №5) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №6):

ე.ა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“, „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ე.ბ) მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) წინასწარი გადაწყვეტილებების სამმართველო.“;

ე.გ) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. წინასწარი გადაწყვეტილებების სამმართველოს ფუნქციებია:

ა) განსახორციელებელი ან განხორციელებული ოპერაციის მიხედვით საგადასახადო ანგარიშგების წესების ან/და შესასრულებელი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით შემოსავლების სამსახურში შემოსული დოკუმენტების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;



ბ) წინასწარი გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება;

გ) შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, საგადასახადო კანონმდებლობის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის;

დ) შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების განზოგადებისა და საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის დანერგვის მიზნით, შემოსავლების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, მათ შორის, ინსტრუქციების, პროცედურული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების, სიტუაციური სახელმძღვანელოების შემუშავებისათვის წინადადებების მომზადება;

ე) შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე წინადადებების მომზადება;

ვ) კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით, შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

თ) დეპარტამენტის უფროსის/მოდერატორის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.“;

ვ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დავების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №7):

ვ.ა) მე-3 მუხლის:

ვ.ა.ა) პირველი პუნქტის:

ვ.ა.ა.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ¹) ფინანსთა სამინისტროს სისტემაში დავების განმხილველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასახადის გადამხდელისათვის ჩაბარების და ამ გადაწყვეტილებების თაობაზე მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში „Oracle“-ში ასახვის მონიტორინგი;“;

ვ.ა.ა.ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„გ“) სასამართლოდან შემოსული კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების მონაცემთა ბაზების მართვის სისტემაში „Oracle“-ში ასახვის მონიტორინგი;“;

ვ.ა.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“;

ვ.ა.გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დავების დეპარტამენტი წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის დავების განმხილველი ორგანოს აპარატს.“;

ვ.ბ) მე-6 მუხლის:

ვ.ბ.ა) პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

ვ.ბ.ბ) მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

ზ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №8):

ზ.ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას;“;

ზ.ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის:

ზ.ბ.ა) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ზ.ბ.ბ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ნ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ნ) დღგ-ის დეკლარაციების კონტროლის განმახორციელებელი სამმართველო.“;

ზ.გ) 9² მუხლის შემდეგ დაემატოს **9³** მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი **93**. დღგ-ის დეკლარაციების კონტროლის განმახორციელებელი სამმართველო დღგ-ის დეკლარაციების კონტროლის განმახორციელებელი სამმართველო, შესაბამის შემთხვევებში, ახორციელებს დღგ-ის დეკლარაციების კონტროლს, ასევე, ამ დებულების მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს.“.

ზ.დ) 12² მუხლი ამოღებულ იქნეს;

თ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №9) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“;

ი) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №10):

ი.ა) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“;

ი.ბ) მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

ი.გ) მე-14 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს **11** პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის, აჭარის სამმართველოებს სამოქმედოდ განესაზღვროთ შემდეგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები:



ა) ქვემო ქართლის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია – თვითმმართველი ქალაქი რუსთავის, აგრეთვე მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს და წალკის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში;

ბ) შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია – გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების, ქ. ცხინვალის, ქუთაის, ერედვის, თიღვის, ყორნისის, ახალგორის და ჯავის რაიონების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში;

გ) კახეთის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია – თელავის, ახმეტის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხის და ყვარლის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში;

დ) სამცხე-ჯავახეთის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია – ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის და ბორჯომის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში;

ე) იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია – თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის, აგრეთვე წყალტუბოს, ჭიათურის, ტყიბულის, ბაღდათის, ზესტაფონის, სამტრედიის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერის, ვანის, ხონის, ამბროლაურის, ლენტეხის, ონის და ცაგერის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში;

ვ) სამეგრელოს, გურიისა და ზემო სვანეთის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია – თვითმმართველი ქალაქი ფოთის, აგრეთვე ზუგდიდის, სენაკის, აბაშის, მარტვილის, ჩხოროწყუს, მესტიის, ხობის, წალენჯიხის, ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში;

ზ) აჭარის სამმართველოს სამოქმედო ტერიტორია – თვითმმართველი ქალაქი ბათუმის, აგრეთვე ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის, ქედის და ხულოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების ფარგლებში.“;

კ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №12):

კ.ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, პროცედურული სახელმძღვანელოებისა და ტექნოლოგიური სქემების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“;



კ.ბ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სამართლებრივ საკითხთა სამმართველო;“;

კ.გ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. სამართლებრივ საკითხთა სამმართველო

სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს ფუნქციებია:

ა) დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების მიერ კანონმდებლობის ნორმათა გამოყენების პრაქტიკის შესწავლა, გამოვლენილი ხარვეზების იდენტიფიცირება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფისათვის;

ბ) დეპარტამენტის უფლებამოსილებათა განხორციელებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხებისა და დეპარტამენტში შემოსული საჩივრების ანალიზის საფუძველზე წინადადებების მომზადება, კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

გ) დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის პროცედურული სახელმძღვანელოებისა და ტექნოლოგიური სქემების შემუშავება;

დ) საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებისას საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა, უცხოელი ექსპერტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების ანალიზი და დეპარტამენტის საქმიანობაში მათ დანერგვის მიზნით წინადადებებისა და ცვლილებათა პროექტების შემუშავება;

ე) დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულების/ქვედანაყოფების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ, ასევე უშუალოდ შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ და განსახილველად (შესათანხმებლად) შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტებზე, საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტებზე დეპარტამენტის დასკვნების/შენიშვნების მომზადება ან/და ვიზირება;

ზ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ორგანიზება;

თ) დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაგზავნილ მასალებზე საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პირის მიმართ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების მიზნით დეპარტამენტის უფროსის ბრძანების პროექტის მომზადება;



ი) დეპარტამენტის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, დეპარტამენტის სხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ექსპერტიზა და ვიზირება;

კ) დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში მიმდინარე დავებთან დაკავშირებით დეპარტამენტის ერთიანი პოზიციისა და სათანადო ინფორმაციის მომზადება და დავის განხილველი ორგანოსათვის შესაბამისი მასალების მიწოდების უზრუნველყოფა;

ლ) საგადასახადო ან სხვა დავებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების დეპარტამენტის კომპეტენციის ფარგლებში აღსრულების ორგანიზება, მონიტორინგი და აღსრულების შესახებ ინფორმაციის დავების დეპარტამენტისათვის მიწოდება;

მ) საბაჟო დეპარტამენტის მიერ მომზადებული „საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების აქტის“ პროექტთან დაკავშირებით, საბაჟო დეპარტამენტის სათათბირო საბჭოზე გადასახადის გადამხდელის ან/და მისი წარმომადგენლის წერილობითი/ელექტრონული პოზიციის განხილვის პროცედურების ორგანიზება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა და მასზე შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

ო) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებების და მითითებების შესრულება.“;

კ.დ) მე-10 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

ლ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №14):

ლ.ა) მე-5 მუხლის:

ლ.ა.ა) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა¹“, „ა²“ და „ა³“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა¹) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, საგადასახადო კონტროლთან, ვალის მართვასა და გადამხდელთა მომსახურებასთან დაკავშირებული საოპერაციო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების შედეგების ანალიზი;



ა²) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და ინიცირება;

ა³) გადამხდელთა კანონშესაბამისობის რისკის მართვის მოდელების ჩამოყალიბება, ჩამოყალიბებული მოდელების იმპლემენტირება საოპერაციო გეგმებში;“;

ლ.ა.ბ) „ფ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ფ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

ლ.ბ) მე-8 მუხლის:

ლ.ბ.ა) „ა²“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ა³“, „ა⁴“ და „ა⁵“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა³) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, საგადასახადო კონტროლთან, ვალის მართვასა და გადამხდელთა მომსახურებასთან დაკავშირებული საოპერაციო გეგმების შემუშავება და მათი შესრულების შედეგების ანალიზი;

ა⁴) საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებების, პროგრამებისა და პროექტების შემუშავება და ინიცირება;

ა⁵) გადამხდელთა კანონშესაბამისობის რისკის მართვის მოდელების ჩამოყალიბება, ჩამოყალიბებული მოდელების იმპლემენტირება საოპერაციო გეგმებში;“.

ლ.ბ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

ლ.გ) მე-10 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

ლ.დ) მე-11 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადება;“;

მ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №15) მე-3 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ტ) კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენას.“;

ბ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის რეფორმებისა და დაგეგმვის დეპარტამენტის დებულების“ (დანართი №16):

ბ.ა) მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. დეპარტამენტის ფუნქციები

დეპარტამენტის ფუნქციებია:

- ა) შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის შემუშავება;
- ბ) შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის ფარგლებში განსახორციელებელი რეფორმებისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- გ) დაგეგმილი რეფორმებისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში განახლება;
- დ) დაგეგმილი რეფორმების, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის და ოპერაციული გეგმების განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების, მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება;
- ე) დაგეგმილი რეფორმებისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია, მონიტორინგი და შედეგების ანალიზი;
- ვ) დაგეგმილი რეფორმებისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის შედეგების ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი წინადადებების შემუშავება და ცვლილებების ინიცირება;
- ზ) შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის ფარგლებში განსახორციელებელი რეფორმების, სტრატეგიის სამოქმედო გეგმისა და ოპერაციული გეგმის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადება და სამსახურის ხელმძღვანელობისთვის წარდგენა;
- თ) კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
- ი) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;
- კ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და ინსტრუქციების პროექტების მომზადებას და შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტისათვის წარდგენა;



ლ) შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.“.

5.ბ) მე-6 მუხლის:

5.ბ.ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სტრუქტურულ ერთეულების/სტრუქტურულ ქვედანაყოფების მიერ შემოსავლების სამსახურის სტრატეგიის განსახორციელებლად სამოქმედო გეგმების მომზადების ორგანიზება და კოორდინაცია;“.

5.ბ.ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სტრუქტურული ერთეულების/სტრუქტურულ ქვედანაყოფების მიერ მომზადებული ოპერაციული და სამოქმედო გეგმების განხილვის ორგანიზება დაგეგმილი აქტივობების სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის, რესურსების ეფექტიანი გადანაწილებისა და შესაბამისი ბიუჯეტის ანალიზის მიზნით;“.

5.ბ.გ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) 6 თვეში ერთხელ სტრუქტურული ერთეულების/სტრუქტურულ ქვედანაყოფების მიერ სტრატეგიის სამოქმედო გეგმის და ოპერაციული გეგმების შესრულების შემაჯამებელი ანგარიშების მომზადება და პრეზენტაციების ორგანიზება.“.

3. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების დებულების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2011 წლის 2 ივნისის №2742 ბრძანებას დაემატოს დანართი №19 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №19

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის (შემდგომში – შემოსავლების სამსახური) საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი) არის შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეული.

2. დეპარტამენტის საქმიანობის საერთო ზედამხედველობას ახორციელებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

3. დეპარტამენტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით და ამ დებულებით.

**მუხლი 2. დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი**

დეპარტამენტის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „შემოსავლების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, შემოსავლების სამსახურის დებულება, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ეს დებულება და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. დეპარტამენტის ფუნქციები

საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) საგადასახადო ადმინისტრირების ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების უზრუნველყოფა, გადასახადებით დაბეგრასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების (ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები და სხვა) პროექტების შემუშავება;

ბ) კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების და პროცედურული/სიტუაციური სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება;

გ) საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით წინადადებების შემუშავება, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის/რეკომენდაციების ანალიზი და საგადასახადო კანონმდებლობაში მათი იმპლემენტაციის მიზნით წინადადებების მომზადება;

დ) შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მიერ კანონმდებლობის ნორმათა გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება;

ე) საგადასახადო გადასახადის გამომსახურების ხარისხისა და პროცედურების ხარვეზების ანალიზი და მათი გაუმჯობესება/აღმოფხვრაზე წინადადებების დამუშავება/შემუშავება და ხელმძღვანელობასთან წარდგენა;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო გადასახადის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

ზ) სამსახურის ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და მითითებების შესრულება.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი (შემდგომში – დეპარტამენტის უფროსი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.



2. დეპარტამენტის უფროსს ჰყავს მოადგილეები, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

3. დეპარტამენტის სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შემოსავლების სამსახურის უფროსი.

4. დეპარტამენტის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) იღებს გადაწყვეტილებებს, მოქმედებს დეპარტამენტის სახელით;

ბ) უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებების, შემოსავლების სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და სხვა სამართლებრივი აქტების შესრულებას;

გ) ახორციელებს დეპარტამენტის საქმიანობის მართვას, კოორდინაციასა და ზედამხედველობას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, წარადგენს წინადადებებს თანამშრომელთა ფუნქციებისა და მათი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხების განსაზღვრის თაობაზე;

ე) წარადგენს წინადადებებს დეპარტამენტის თანამშრომელთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) ანგარიშვალდებულია შემოსავლების სამსახურის უფროსის წინაშე;

ზ) შემოსავლების სამსახურის სახელით ხელს აწერს დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებულ კორესპონდენციას;

თ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

5. დეპარტამენტის უფროსის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დეპარტამენტის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე, შემოსავლების სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით.

მუხლი 5. დეპარტამენტის სტრუქტურა

დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

ა) საგადასახადო კონტროლის მეთოდოლოგიის სამმართველო;

ბ) დაბეგვრისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სამმართველო;

გ) საბაჟო მეთოდოლოგიის სამმართველო.

**მუხლი 6. დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფები**

1. საგადასახადო კონტროლის მეთოდოლოგიის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) საგადასახადო კონტროლთან დაკავშირებით ერთიანი მეთოდოლოგიის, მათ შორის, საგადასახადო შემოწმების პროცესისა და შედეგების ამსახველი ფორმების შემუშავება;

ბ) საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი პირებისათვის საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების მომზადების, ჩატარების და მათი შედეგების შეფასების კომპლექსური პროცედურული სტანდარტების შემუშავება;

გ) კომპეტენციის ფარგლებში, სიტუაციური/პროცედურული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების შემუშავება;

დ) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით სამმართველოში შემოსულ წერილებზე პასუხების მომზადება და დასმულ საკითხებზე ერთიანი მიდგომის გამომუშავება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების გაცნობა და მათ დასაწერად წინადადებების შემუშავება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

თ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

2. დაბეგვრისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სამმართველოს ფუნქციებია:

ა) გადასახადებითა და შემოსავლების სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი მოსაკრებლებით დაბეგვრასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ინსტრუქციების, მეთოდური მითითებების, პროცედურული და სიტუაციური სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება, მათი დამტკიცების კოორდინაცია, სისტემატიზაცია და გასაჯაროების უზრუნველყოფა;

ბ) საგადასახადო კანონმდებლობის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტებიდან შემოსული წინადადებების, დავების განხილველი ორგანოების (მათ შორის, სასამართლოს) მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე;



გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე წინადადებების მომზადება;

დ) საგადასახადო შემოწმებისას გამოკვეთილი ტენდენციების გაანალიზება და შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების სრულყოფის მიზნით წინადადებების, ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

ე) საგადასახადო ანგარიშგების ფორმების ანალიზი, მათი სრულყოფის მიზნით წინადადებების მომზადება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის დანერგვის მიზნით სამსახურის სტრუქტურული ერთეულებისათვის განმარტებითი მითითებების შემუშავება და მიწოდება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებთან დაკავშირებით შემუშავებული ღონისძიებების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა;

თ) გადამხდელთა მომსახურების სტანდარტების, სახეობების, პროცედურებისა და ტექნოლოგიების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

ი) განსაზღვრული პერიოდულობით გადამხდელთა მომსახურების დამტკიცებული სტანდარტებისა და პროცედურული სახელმძღვანელოების შემოწმება მათი სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად; ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში საჭიროებისამებრ მყისიერი/სისტემური რეაგირების ორგანიზება;

კ) უკმაყოფილო გადამხდელების მიერ დაფიქსირებული საჩივრების პერიოდული ანალიზი შესაბამისი მეთოდოლოგიის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;

ლ) გადამხდელების კმაყოფილების კვლევების შედეგად დაფიქსირებული მომსახურების ხარისხისა და პროცედურების სისუსტეებისა და ხარვეზების ანალიზი და გაუმჯობესების პროექტების დამუშავება/განხორციელება;

მ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და მისი დანერგვის მიზნით შესაბამისი წინადადებების მომზადება;

ნ) კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, საგადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირების განხორციელების უზრუნველყოფა;



პ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.

3. საბაჟო მეთოდოლოგიის სამმართველოს ფუნქციებია იმპორტის გადასახდელების ადმინისტრირების კუთხით:

ა) შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულის მიერ კანონმდებლობის ნორმათა გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და რეკომენდაციებისა და მეთოდური მითითებების შემუშავება;

ბ) კანონმდებლობის სრულყოფაზე წინადადებების, შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

გ) შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება;

დ) საგადასახადო კანონმდებლობის პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა დეპარტამენტებიდან შემოსული წინადადებების, შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილებებისა და შემოსავლების სამსახურის მიერ გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე;

ე) გადამხდელთა მომსახურების სტანდარტების, სახეობების, პროცედურებისა და ტექნოლოგიების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და მათი გაუმჯობესების მიზნით წინადადებების მომზადება;

ვ) განსაზღვრული პერიოდულობით გადამხდელთა მომსახურების დამტკიცებული სტანდარტებისა და პროცედურული სახელმძღვანელოების შემოწმება მათი სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად; ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში საჭიროებისამებრ მყისიერი/სისტემური რეაგირების ორგანიზება;

ზ) გადამხდელების კმაყოფილების კვლევების შედეგად დაფიქსირებული მომსახურების ხარისხისა და პროცედურების სისუსტეებისა და ხარვეზების ანალიზი და გაუმჯობესების პროექტების დამუშავება/განხორციელება;

თ) საერთაშორისო პრაქტიკების მოძიება გადამხდელთა მომსახურების ხარისხის განვითარების, პროცედურების გამარტივებისა და დაჩქარების, ტექნოლოგიური განვითარების შესახებ, მათი დეტალური შესწავლა და საინტერესო მიგნებების არსებულ პროგრამაში ინტეგრირება;

ი) საგადასახადო კანონმდებლობის პრობლემური საკითხების გადაწყვეტის მიზნით წინადადებების მომზადება;



კ) მიღებული გადაწყვეტილებების განზოგადების მიზნით, შემოსავლების სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების, მათ შორის, ინსტრუქციების, პროცედურული სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების, სიტუაციური სახელმძღვანელოების პროექტების მომზადება;

ლ) სიტუაციური სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებებისა და ინსტრუქციების მომზადება, მათი სისტემატიზაცია და გასაჯაროება;

მ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე წინადადებების მომზადება;

ნ) საგადასახადო შემოწმებების განმახორციელებელი პირებისათვის საგადასახადო შემოწმებების მომზადების, ჩატარების და მათი შედეგების შეფასების კომპლექსური პროცედურული სტანდარტების შემუშავებაში მონაწილეობა;

ო) კომპეტენციის ფარგლებში, გადასახადის გადამხდელის, მისი წარმომადგენლისა და სხვა დაინტერესებული პირის კორესპონდენციის განხილვა;

პ) დეპარტამენტის უფროსის/მოადგილის სხვა დავალებებისა და მითითებების შესრულება.“.

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 12 მარტიდან.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი



ბიზნეს ინტელექტი

**შემოსავლების სამსახურის უფროსის****ბრძანება №6305**

2018 წლის 23 მარტი, ქ. თბილისი

„შემოსავლების სამსახურის დაგების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275

ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. „შემოსავლების სამსახურის დაგების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებით დამტკიცებული „შემოსავლების სამსახურის დაგების განხილვის საბჭოს შემადგენლობა“ (დანართი №1) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1**შემოსავლების სამსახურის დაგების განხილვის საბჭოს შემადგენლობა**

1	გიორგი თაბუაშვილი	შემოსავლების სამსახურის უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე)
2	მამუკა ტერაშვილი	შემოსავლების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
3	შალვა კოპალეიშვილი	დაგების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)
4	დავით ჯულაყიძე	დაგების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (საბჭოს მდივანი)
5	რომან ბულაძე	საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსი
6	შოთა ვალიშვილი	აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
7	ლევან წითელაშვილი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
8	მერაბ არახამია	საბაჟო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
9	ნინო შამანაური	მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
10	გიორგი კანდელაკი	ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გიორგი თაბუაშვილი



saqarTvel os erovnul i banki

კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობა

26.03.2018

2018 წლის პირველი მარტის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი **16** კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის **15** - საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით. თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) **186.9** მილიონი ლარით, ანუ **0.6** პროცენტით შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე შემცირებამ **0.2** პროცენტი შეადგინა) და **2018** წლის პირველი მარტისათვის **33.6** მლრდ ლარი შეადგინა.

საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები **4.6** მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების **13.6** პროცენტია.

წინამდებარე სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე: www.nbg.gov.ge





დეპოზიტების მიმდინარე ტენდენციების შესახებ

26.03.2018


საბანკო სექტორში განთავსებული არასაბანკო დეპოზიტების მოცულობამ **2018** წლის პირველი მარტისათვის **19.2** მლრდ ლარი შეადგინა, რაც **7.4** მლნ ლარით, ანუ **0.04** პროცენტით მეტია პირველი თებერვლისათვის არსებულ მაჩვენებელზე (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე **0.5** პროცენტით მეტი). თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ადგილი ჰქონდა ვადიან დეპოზიტების ზრდას **74.0** მლნ ლარით, ანუ **0.7** პროცენტით (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე გაიზარდა **1.1** პროცენტით), ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტები შემცირდა **66.5** მლნ ლარით, ანუ **0.9** პროცენტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე შემცირდა **0.5** პროცენტით).

დეპოზიტების ლარიზაციის კოეფიციენტმა მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის **36.28** პროცენტი შეადგინა. პირველი თებერვლის მდგომარეობასთან შედარებით დეპოზიტების ლარიზაცია გაიზარდა **0.63** პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით **0.47** პროცენტული პუნქტით).

ვადიან დეპოზიტებზე საშუალო წლიურმა შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა **5.1** პროცენტი შეადგინა, მათ შორის ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - **8.1** პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე - **2.5** პროცენტი.

უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებში აშშ დოლარის წილმა **84.2** პროცენტი, ხოლო ევროს წილმა **13.7** პროცენტი შეადგინა.

წინამდებარე სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე: www.nbg.gov.ge





კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების შესახებ

26.03.2018

კომერციული ბანკების საკრედიტო დაბანდების მოცულობა (არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ჩათვლით), **2018** წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით **49.8** მლნ ლარით (**0.2** პროცენტით) გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე **0.6** პროცენტით გაიზარდა) და მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის **21.9** მლრდ ლარს გადააჭარბა. ამავე პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა **142.2** მლნ ლარით (**1.5** პროცენტით) გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა **92.3** მლნ ლარით (**0.7** პროცენტით) შემცირდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე **0.1** პროცენტით შემცირდა).

რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის **2018** წლის თებერვლის ბოლოს კომერციულ ბანკებს ეროვნული ვალუტით გაცემული ჰქონდათ **2.5** მლრდ ლარის (წინა თვესთან შედარებით **1.6** პროცენტით მეტი), ხოლო უცხოური ვალუტით **6.8** მლრდ ლარის (**0.9** პროცენტით ნაკლები) მოცულობის სესხი (გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე **0.2** პროცენტით ნაკლები).

2018 წლის თებერვლის განმავლობაში **1.0** პროცენტით ანუ **117.2** მლნ ლარით გაიზარდა რეზიდენტი ფიზიკური პირების დაკრედიტების მოცულობა და მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის **11.7** მლრდ ლარს მიაღწია.

მიმდინარე წლის პირველი მარტისათვის მთლიანი სესხების ლარიზაციის კოეფიციენტმა **44.21** პროცენტი შეადგინა. პირველი თებერვლის მდგომარეობასთან შედარებით მთლიანი სესხების ლარიზაცია გაიზარდა **0.55** პროცენტული პუნქტით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით გაიზარდა **0.38** პროცენტული პუნქტით).

წინამდებარე სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე: www.nbg.gov.ge

**a u q c i o n i****საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების
აუქციონის შედეგი****21.03.2018**

2018 წლის 21 მარტს, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 30 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 5-წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მოთხოვნამ შეადგინა 61 630 000 ლარი. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.790 პროცენტით, მაქსიმალური 7.830 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი - 7.814 პროცენტით განისაზღვრა.

კუპონური საპროცენტო განაკვეთი 8.125 პროცენტს შეადგენდა. კუპონის გადახდა მოხდება წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში.

**ნურასოდეს დააფასებ ფულს ნურც მეტად, ნურც
ნაკლებად, ვიდრე იგი ღირს, რადგან იგი კარგი
მსახურია და ცუდი ბატონი.**

ალექსანდრე დიუმა უფროსი



სიტუაციური სახელმძღვანელოები / მანუალიები

საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულობის გაცემა 2534

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაცია (ა(ა)იპ), ახორციელებს ორგანიზაციებზე შემოწირულობის (ფულადი სახსრების) გაცემას (მათ შორის უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს მოქალაქე სტუდენტზე შემდგომში სწავლის საფასურის ასანაზღაურებლად გრანტის გაცემის მიზნით).

გარანტი I
შემოწირულობა (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირზე, რომელსაც მინიჭებული აქვს საჯვალმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

გარანტი II
შემოწირულობა (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირზე, რომელსაც საქართველოში არ აქვს ფილიალი და ასევე, მინიჭებული არ აქვს საჯვალმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

გადასახადის გადამხდელს მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

შეფასება

სსკ-ის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციად ითვლება როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულობა არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება საჯვალმოქმედო საქმიანობა.

სსკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჯვალმოქმედო საქმიანობად ითვლება საჯვალმოქმედო ორგანიზაციებისათვის დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა.

სსკ-ის 30-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ამის გამოიყენა შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი. სსკ-ის 96-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო.

ორივე გარანტია:
იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციებზე ფულადი სახსრების გაცემის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ შემოწირულობის გაცემა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაცია (ა(ა)იპ) არ განიხილება საწარმოდ და მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულება არ წარმოიშობა.

ღონისძიებები

ორივე გარანტია:
პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

ანოტაცია

„საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულების გაცემა“ №2534 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულების გაცემისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაცია (ა(ა)იპ), ახორციელებს ორგანიზაციებზე შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემას (მათ შორის უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს მოქალაქე სტუდენტზე შემდგომში სწავლის საფასურის ასანაზღაურებლად გრანტის გაცემის მიზნით).

ვარიანტი I - შემოწირულება (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი.

ვარიანტი II - შემოწირულება (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე, რომელსაც საქართველოში არ აქვს ფილიალი და ასევე, მინიჭებული არ აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. გადასახადის გადამხდელს მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

სსკ-ის 30-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ორგანიზაციად ითვლება როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, ასევე უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები. სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება საქველმოქმედო საქმიანობა. სსკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა.



სსკ-ის 30-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მისი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება საწარმოს ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადაც ამის გამიჯვნა შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის ხვედრითი წილი.

სსკ-ის 96-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადის გადამხდელია რეზიდენტი საწარმო.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე ორივე ვარიანტში:

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციებზე ფულადი სახსრების გაცემის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ შემოწირულების გაცემა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაცია (ა(ა)იპ) არ განიხილება საწარმოდ და მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

ფულის მოგროვება სასარგებლო რამაა, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს უკვე მოახერხეს თქვენმა მშობლებმა.

უინსტონ ჩერჩილი

ფული - ძალიან საჭირო ნივთია, განსაკუთრებით, როდესაც ის არ გაქვს.

ერიხ მარია რემარკი



საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულობის მიღება 2535



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით



ანოტაცია

„საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულების მიღება“ №2535 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს საქართველოში რეგისტრირებული ორგანიზაციის მიერ შემოწირულების მიღებისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, საქართველოში რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ, რომელიც არ ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მიიღო შემოწირულობა (ფულადი სახსრები) (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით).

I შემთხვევა:

შემოწირულება მიღებულ იქნა რეზიდენტი საწარმოდან.

II შემთხვევა:

შემოწირულება მიღებულ იქნა რეზიდენტი საწარმოდან, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

III შემთხვევა:

შემოწირულება მიღებულ იქნა მეწარმე ფიზიკური პირიდან.

IV შემთხვევა:

შემოწირულება მიღებულ იქნა არარეზიდენტი საწარმოდან.

საქართველოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

სსკ-ის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადისგან თავისუფლდება ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულებები. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ყველა შემთხვევაში:

რამდენადაც ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოწირულებები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან, ორგანიზაციას მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულება არ წარმოეშობა.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.



უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ შემოწირულების გაცემა 2536

ფაქტობრივი გარემოებები

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციამ (ა(ა)იპ), რომელსაც საქართველოში არ აქვს მუდმივი დაწესებულება, საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით) გასცა შემოწირულება (ფულადი სახსრები) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე (რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი).

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) საქართველოში მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

შეფასება

სსკ-ის 96-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადის გადამხდელია არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. ამავე კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოში უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დაწესებულებად ითვლება განსაზღვრული ადგილი, რომლის გამოყენებითაც ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში.

სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება საქველმოქმედო საქმიანობა.

სსკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა.

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციებზე ფულადი სახსრების გაცემის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, არამედ აღნიშნული ხორციელდება საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ შემოწირულების გაცემა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მოცემულ შემთხვევაში არ წარმოეშობა საქართველოში მუდმივი დაწესებულება და მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულება.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ ხდება.

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით



ანოტაცია

„უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ შემოწირულების გაცემა“ №2536

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე (რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი) შემოწირულების გაცემისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ), რომელსაც საქართველოში არ აქვს მუდმივი დაწესებულება, საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით) გასცა შემოწირულება (ფულადი სახსრები) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე (რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი). უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ორგანიზაციას (ა(ა)იპ) საქართველოში მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

სსკ-ის 96-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადის გადამხდელია არარეზიდენტი საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ახორციელებს ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან. სსკ-ის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოში უცხოური საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის მუდმივ დაწესებულებად ითვლება განსაზღვრული ადგილი, რომლის გამოყენებითაც ეს პირი ნაწილობრივ ან მთლიანად ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში.

სსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობას არ მიეკუთვნება საქველმოქმედო საქმიანობა.

სსკ-ის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის „ა.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება საქველმოქმედო ორგანიზაციებისათვის დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა.



ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე:

იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციებზე ფულადი სახსრების გაცემის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება, არამედ აღნიშნული ხორციელდება საქველმოქმედო საქმიანობის ფარგლებში (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ შემოწირულების გაცემა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას. შესაბამისად, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ორგანიზაციას (ა(ა)იპ) მოცემულ შემთხვევაში არ წარმოეშობა საქართველოში მუდმივი დაწესებულება და მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ვალდებულება.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.





მწარმე ფიზიკური პირის/საწარმოს მიერ შემოწირულების გაცემა

0269



➤ სიტუაციური სახელმძღვანელო ერეკლდება იმ საწარმოს მიმართ, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით



ანოტაცია

„მეწარმე ფიზიკური პირის/საწარმოს მიერ შემოწირულების გაცემა“ №0269

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მეწარმე ფიზიკური პირი/საწარმოს მიერ, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით, საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციებზე შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, მეწარმე ფიზიკური პირი/საწარმო ახორციელებს ორგანიზაციებზე შემოწირულების (ფულადი სახსრების) გაცემას (მათ შორის, უმაღლესი განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით). შემოწირულება (ფულადი სახსრები) გაცემულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე, რომელსაც მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. მეწარმე ფიზიკურმა პირმა/საწარმომ ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითა გაცემული შემოწირულება, რამდენადაც მის მიერ გაცემული თანხა არ აღემატებოდა ერთობლივი შემოსავლიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტს.

საგადასახადო კოდექსის მე-80 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რეზიდენტი ფიზიკური პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 95-ე ნაწილის თანახმად, 2019 წლის 1 იანვრამდე კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და ლომბარდის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. ამასთან, სსკ-ის 117-ე მუხლის მიხედვით, ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო



ორგანიზაციაზე გაცემული თანხა, აგრეთვე ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი, მაგრამ არაუმეტეს ერთობლივი შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების (ამ მუხლით გათვალისწინებული გამოქვითვის გარეშე) შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტისა. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-40 ნაწილის მიხედვით, შემოწირულება არის ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული საქონელი/მომსახურება, მათ შორის, ფულადი სახსრები.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე:

მეწარმე ფიზიკური პირი/საწარმო უფლებამოსილია ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითოს საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული ფულადი სახსრები, რამდენადაც შემოწირულება გაცემულია საქველმოქმედო სტატუსის მქონე ორგანიზაციაზე და არ აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების შემდეგ დარჩენილი თანხის 10 პროცენტს.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.



ღიზარინი ჰოციბიხაფია

- » ეტიკატიბი
- » ბუკლეტიბი
- » კლაკატიბი
- » შესაფუთი პაკეტიბი
- » ნიბნები